

With funding from

 Austrian
Development
Cooperation


Shaping the Future by Changing Today

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2022



მწვანე ეკონომიკა

გზამკვლევი ფინანსის
მონაწილე სკოლის
გუნდებისათვის



გამარჯობა,

CENN გილოცავთ **ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2022-ის** ფარგლებში მიღწეულ წარმატებას და ფინალურ ეტაპზე გადასვლას.

წინამდებარე გზამკვლევის მიზანია, გაგაცნოთ ფინალური ტურის ფორმატი და წესები, რომლის მიხედვითაც გამოვლინდებიან გამარჯვებული სკოლები. ასევე, მოგაწოდოთ რჩევები და რეკომენდაციები თქვენი ეკოკლუბის უკეთ წარმოსაჩენად.

წლევანდელი ჟიურის შემადგენლობა ცენტრალური დონის პარტნიორი ორგანიზაციებისაგან დაკომპლექტდება. იმედი გვაქვს, მათთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობა თქვენი ეკოკლუბის ზრდის, წინსვლისა, ცოდნისა და იდეების გაზიარების კარგი შესაძლებლობა იქნება.

ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია 2022-ის ფინალი გაიმართება 28 სექტემბერს, 12:00-18:00 საათზე, სასტუმრო სტამბაში, თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა #14.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ საკონკურსო ინსტრუქციას და მოემზადოთ შემდგომი წარმატებებისათვის.

პატივისცემით,

CENN



საჩუქარი ყველა ფინალისტ ეკოკლებს!



ცვატა ბერძენიშვილის ორდღიანი ტრენინგი ეფექტიანი პრეზენტაციის შესახებ.

რეკომენდებულია ეკოკლებიდან მინიმუმ 1 წარმომადგენლის მონაწილეობა. ტრენინგზე მიღებული ცოდნა დაგეხმარებათ, არამხოლოდ ფინალისტის მოსამზადებლად, არამედ, სასარგებლო იქნება თქვენი მომავალი სასკოლო და საუნივერსიტეტო საქმიანობისათვის.

ტრენინგი გაიმართება ონლაინ:

დღე პირველი - 21 სექტემბერი, 19:00-21:00

თემა: როგორ მოვამზადოთ ეფექტიანი პრეზენტაცია

დღე მეორე - 25 სექტემბერი, 10:00-13:00

თემა: პრეზენტაციის ფრაგმენტების განხილვა და უკუკავშირი ექსპერტისაგან. შეხვედრის ბმული და ID უცვლელია ორივე დღისათვის.

<https://us02web.zoom.us/j/81318374531>

Meeting ID: 813 1837 4531

აუცილებლად წასაკითხი

მდგრადი განვითარება - პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.”

ჰარლემ ბრუნდტლანდი, 1987 წელი

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.

წყარო: www.civiceducation.ge



13 კლიმატის მდგრადი განვითარების მიზნა

შემცირებული ნარჩენებისა და ტრანსპორტირების შედეგად საგრძნობლად იკლო გარემოზე ზემოქმედებამ

11 ადამიანთა და მასშტაბურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც ცხოვრობენ შედარებით მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე, მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირების რისკ-ჯგუფს.

8 ღრინაული საშუალო აკონომიკური ზრდა

შეჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა; იკლო შემოსავლებმა და გარკვეული პროფესიის ადამიანებს სამუშაო შეუწყვირდათ ან შეუჩერდათ.

7 ხაზინაუნარიანი და აკონომიკური

ადამიანური რესურსის უმარისობა იწვევს ელექტროენერჯიაზე წვდომის შეფერხებას, რაც თავის მხრივ ჯანმრთელობის სისტემის რეაგირებისა და შესაძლებლობების შესუსტების გამოწვევი შეიძლება გახდეს.

10 უდრეობის აღკვეთა

16 მშვიდობა, სამართალრიგობა და იუსტიციის უზრუნველყოფა

კონფლიქტები საგრძნობლად უზღოვრდა COVID-19-ის წინააღმდეგ ეფექტიანი ღონისძიებების გატარებას. კონფლიქტურ რეგიონებში COVID-19-ით გამოწვეული საგადასახადო შედეგები გაცილებით მაღალია

17 თანამშრომლობა საერთაშორისო დონაზე

ამიშბებს ნეგატიურ განწყობას დღობობობობობობთან დაკავშირებით, მაგრამ, ასევე, ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში



1 ანა სიღარიბის აღკვეთა

საზოგადოების მოწყვლადი ნაწილი შესაძლოა სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდეს შემოსავლის კარგვის გამო.

2 არა ზიანის მიყენება

საკვების ნარჩობა და განაწილება შეიძლება შეფერხდეს პანდემიის გამო.

3 ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის მიზნები

დამანგრეველი ეფექტი ადამიანების ჯანმრთელობაზე.

4 ხარისხიანი განათლება

მრავალი სკოლა დახურულია, დისტანციური სწავლება ნაკლებად ეფექტური და ზოგისთვის მიუწვდომელია.

6 სუფთა წყალი და სანიტარია

წყლის მიწოდების სისტემის მოძრა და არასაკმარისი ხელმისაწვდომობა სუფთა წყალზე იწვევს ხელების რეგულარული დაბნისათვის საჭირო პირობების შეზღუდვას. ხელების დაბნა კი COVID-19-ით დაავადების პრევენციისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა.

5 მინიჭიანი თანასწორობა

ქალები წარმოადგენენ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე ადამიანების უმეტეს ნაწილს, რომელთა დაინფიცირების რისკები საკმაოდ მაღალია. გაიზარდა ქალებზე ძალადობის შემთხვევები.

ასობით წლის განმავლობაში პირველად, მსოფლიო ორიენტირებულია საერთო მიზნის გარშემო. კრიზისმა გვიჩვენა, თუ რამდენად მჭიდროდ ვართ დაკავშირებული სხვებთან და პლანეტასთან. COVID-19 გვავიძულებს გადავხედოთ ჩვენს ღირებულებებს და შევიმუშაოთ განვითარების ახალი გზა, რომელიც ნამდვილად დააბალანსებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პროგრესს, როგორც ეს გათვალისწინებულია 2030 წლის დღის წესრიგითა და მდგრადი განვითარების მიზნებით.

კოორდინირებული, ერთმანეთთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ერთადერთი გზაა, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ მწვანე მომავალი, დავხმაროთ ქვეყნებს 2030 წლის მიზნების მისაღწევად და არავინ დავტოვოთ პროცესის მიღმა.

SDG-ები ბავშვისთვის და ბავშვებთან ერთად

მდგრადი განვითარების მისაღწევად დადგენილი გაეროს პრინციპების მიხედვით,¹ უმნიშვნელოვანესია ცნობიერების ამაღლების აქტივობებსა და ასევე, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პროცესებში ბავშვების, მოზარდებისა და ახალგაზრდების, როგორც ცვლილების აგენტების მონაწილეობა. სწორედ მათ შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ ქცევაზე და სოციალურ ნორმებზე, მათ შორის, საკუთარ ოჯახებში.

UNICEF-მა გამოყო „3 ა“ მიდგომა, რათა ხელი შეეწყოს პროგრესის მიღწევას ყველა ბავშვისთვის:

AWARENESS / ინფორმირებულობა

სწორი ინსტრუმენტებითა და ინფორმაციის საშუალებებით, ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ საგულისხმო როლი შეასრულონ SDG-ების განხორციელებასა და მონიტორინგში. ისინი ხელს შეუწყობენ თავიანთ თემებში საქმიანობის გაღვივებას, ხოლო ლიდერებს - ანგარიშვალდებულებისკენ უბიძგებენ.

¹ https://www.unicef.org/sites/default/files/2020-01/HLPF_2020_2PAGER_FINAL_Child_participation.pdf

ACTION / ქმედება

თანდათანობით სულ უფრო მეტი ბავშვი და ახალგაზრდა ინფორმირებული გლობალური მიზნების შესახებ და აქტივობებსაც სულ უფრო მეტი მათგანი ახორციელებს.

UNICEF მხარს უჭერს მთავრობებს, იმოქმედონ ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად სხვადასხვა პროგრამების ბიუჯეტირების, დაგეგმვისა თუ განხორციელების ეტაპზე.

ACCOUNTABILITY / ანგარიშვალდებულება

ლიდერებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა აღებული ვალდებულებების შესახებ. გაეროს ბავშვთა ფონდი ამისთვის ორ მთავარ ინსტრუმენტს იყენებს: (1) ბავშვებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, ანალიზი და გაზიარება, პროგრესზე დაკვირვების მიზნით, და (2) SDG-ებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ანგარიშვალდებულების გაზრდა ბავშვთა შეხედულებებისა და მოსაზრებების შესახებ ინფორმირების გზით.

მაგალითად, ინდონეზიაში, გაეროს ბავშვთა ფონდი დაეხმარა ეროვნულ მთავრობას, რომ არცერთი ბავშვი დარჩენილიყო SDG-ების განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის მიღმა. განაში, გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩატარდა გამოკითხვა SDG-ებთან დაკავშირებით უფასო, SMS შეტყობინებებზე დაფუძნებული ინსტრუმენტის მეშვეობით, საზოგადოების მონაწილეობის შესაფასებლად. როდესაც კვლევის შედეგებმა აჩვენა SDG-ებთან დაკავშირებით დაბალი ინფორმირებულობა, გაეროს ბავშვთა ფონდმა და განას მთავრობამ გააერთიანეს ძალები ახალგაზრდების მონაწილეობის წახალისებისთვის, რათა მიეღწიათ პოზიტიური სოციალური ცვლილებებისათვის.

დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში 15-დან 24 წლამდე ასაკის 1,2 მილიარდი ახალგაზრდა ცხოვრობს, რაც პლანეტის მოსახლეობის 16 პროცენტს შეადგენს.

ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა მდგრადი განვითარებისკენ მიმართულ ძალისხმევაში არსებითია მდგრადი, ინკლუზიური და სტაბილური საზოგადოებების ჩამოყალიბებისათვის და, ასევე, ისეთი მწვავე საფრთხეების თავიდან აცილებისათვის, როგორებიცაა: კლიმატის ცვლილება, უმუშევრობა, სიღარიბე, გენდერული უთანასწორობა, კონფლიქტი და მიგრაცია.

ფინალური ტურის ფორმატი

ფინალში მონაწილე სკოლებს წლის განმავლობაში დაგროვებული ქულები გადმოყვებათ (გაყოფილი 1,000-ზე).

გამარჯვებული სკოლის გამოსავლენად, ჟიური შეაფასებს მონაწილეებს შემდეგ კომპონენტებზე დაყრდნობით:

1) ეკოკლუბის მიმართვა/პრეზენტაცია

პრეზენტაციების რაოდენობა - სურვილისამებრ.

რეგლამენტი - 3 წუთი

ეკოკლუბის წარმომადგენელი ჟიურის წარუდგენს სამწუთიან პრეზენტაციას - თემაზე: რატომ ვიმსახურებთ ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიას.

- შეარჩიეთ თქვენ მიერ განხორციელებული ის აქტივობები/ინიციატივები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევთ; რომელთა მეშვეობითაც რეალური, პოზიტიური ცვლილება განხორციელდა ცალკეული პირების, ეკოკლუბის, სკოლის თუ თემის დონეზე მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად.
- ეკოკლუბის ფუნქციონირება სკოლაში არაფორმალური განათლებისა და სამოქალაქო აქტივიზმის კარგ საფუძველს ქმნის. თქვენი სკოლის ცხოვრებაზე რა გავლენა იქონია ეკოკლუბის არსებობამ?
- ზოგიერთი ეკოკლუბი ირჩევდა საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებას. რა ისწავლეთ ახალი? რომელ მიმართულებებს გამოარჩევდით, რაზეც ახალ ცოდნას ფლობთ? გაიაზრეთ თუ არა ტყის რესურსების, ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა? შეგიძლიათ თუ არა გარკვეული სახეობების ცნობაც? მოგვიყვით ამ მიმართულებებით თქვენს გამოცდილებაზე.
- მნიშვნელოვანია, სლაიდებზე გამოიტანოთ ფოტო მასალა, ხოლო ზეპირი ფორმით, მოიყვანოთ არგუმენტები, რითიც ასაბუთებთ კონკრეტული შედეგის მიღწევას. გთხოვთ, აქტი-

ვობები შეუსაბამოთ მდგრადი განვითარების კონკრეტულ მიზანს/მიზნებს.

- დამატებით თვალსაჩინოებად შეგიძლიათ გამოიყენოთ ნახატები, პოსტერები, დამზადებული ნივთები, დოკუმენტური მასალა: თქვენ მიერ ინიცირებული კვლევების კითხვარები, ანგარიშები, ლაბორატორიული ანალიზის ანგარიშები და ა.შ.
- განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სანდო, გაზომვადი და რეალური შედეგი.
- რა გამოწვევებს წააწყდით ეკოკლუბელები? მოგვიყვით, როგორ აპირებთ ამ გამოწვევებზე პასუხს და სამომავლოდ მათ თავიდან არიდებას ?

თითოეული თქვენგანის საქმიანობა შთამბეჭდავია. თქვენ უკვე ხართ მნიშვნელოვანი, გლობალური პროცესის მონაწილე, რასაც მდგრადი განვითარება ქვია. ახლა საჭიროა მხოლოდ მთავარი შედეგების დემონსტრირება და გულწრფელი გზავნილები აუდიტორიისა და ჟიურისთვის.

მოეზადეთ ჟიურის შეკითხვებისთვის (2 ნაწილი)

პრეზენტაციის შემდეგ ჟიური დაგისვამთ 3-4 შეკითხვას

- დარწმუნდით, რომ კარგად გესმით იმ მიზნების არსი და ძირითადი გზავნილები, რომლებზეც აქცენტს აკეთებთ პრეზენტაციებში. სწორად იცით იმ სახეობების, კონკრეტული გარემოსდაცვითი პრობლემების შესახებ, რომლებსაც ახსენებთ.
- დაფიქრდით, რა ახალი ინფორმაცია და უნარი შეიძინეთ კონკურსში მონაწილეობის განმავლობაში.
- შეკითხვების შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ფეისბუქის ოფიციალურ ჯგუფში - ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის მონაწილეები, ან მიმართოთ რეგიონულ კოორდინატორებს.

ცხილი 1: შეფასების კრიტერიუმები შესაჩრევი ეტაპისათვის

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1.	გუნდის აქტიურობით მიღწეული შედეგ(ებ)ი, პოზიტიური ცვლილებ(ებ)ი	0-15 ქულა
2.	კონკურსის ფარგლებში შეძენილი თემატური ცოდნა (SDGs)	0-3 ქულა
3.	მიმართვის ეფექტურობა და დროის რეგლამენტის დაცვა	0-2 ქულა

დასკვნითი ეტაპი

ეკომიმართვა თემაზე: „ჩვენ – მდგრადი განვითარების მიზნებისთვის“, ეკოკლუბის სამომავლო გეგმები

რეგლამენტი

90 წამი

32 სასკოლო გუნდიდან დასკვნით ეტაპზე მოხვდება 10 სასკოლო გუნდი, ჟიურის შეფასების საფუძველზე.

გთხოვთ, შეარჩიოთ გუნდის წევრებიდან ერთი სპიკერი, რომელიც გააუღერებს სკოლის გუნდის ეკომიმართვას. მნიშვნელოვანია, საქირო დრო დაუთმოთ მიმართვის შინაარსზე მუშაობას გუნდის წევრებთან და პედაგოგთან ერთად.

დაკვლევა

წარმოაჩინეთ სამომავლო კონკრეტული ინიციატივა/ინიციატივები და თქვენი ხედვა რეალური ცვლილების მისაღწევად – მდგრადი განვითარების ერთ-ერთი კონკრეტული მიზნის, ან რამდენიმე მიზნის შესაბამისად.

წარმოიდგინეთ, რომ ეკოკლუბმა მიიღო დაფინანსება - 5,000 ლარი. გთხოვთ, თქვენი ინიციატივა, თქვენი პროექტი, ამ ბიუჯეტის ფარგლებში მოაქციოთ.

პრეზენტაციაში მიღებულ შედეგებს დაემატება „ეკოსპიკერში“ მიღებული ქულები და მაქსიმალური შედეგის მქონე სამი გუნდი მიიღებს **ნიკო კეცხოველის I, II და III ხარისხის სასკოლო პრემიას.**

ცხილი 2: შეფასების კრიტერიუმები დასკვნითი ეტაპისათვის

№	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1.	ინიციატივის მნიშვნელობა, მისი შესაბამისობა დავალებასთან და SDG-ებთან	0-12 ქულა
2.	სასკოლო გუნდის მდგრადობა და პოტენციალი	0-4 ქულა
3.	ინიციატივის განხორციელებადობა	0-2 ქულა
4.	რეგლამენტის დაცვა და მიმართვის ეფექტიანობა	0-2 ქულა

შენიშვნა:

ფინალში მონაწილე ყველა სკოლას მოეთხოვება პრეზენტაციისა და ეკომიმართვის მომზადება, შესაბამისად - შესარჩევი და დასკვნითი ტურებისათვის.

გთხოვთ, მიმართვის ტექსტი და პრეზენტაცია გადაუგზავნოთ პროექტის რეგიონულ კოორდინატორს ნახევარფინალის თარიღამდე ერთი (1) სამუშაო დღით ადრე, არაუგვიანეს 26 სექტემბრისა (00:00).

პრიზები

ფინალურ შეხვედრაზე გამოვლინდება ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის სამი მფლობელი ეკოკლუბი. საპრიზო ფონდის თანხა გადანაწილდება შემდეგნაირად:

I ადგილი

5,000 ლარი

II ადგილი

4,000 ლარი


III ადგილი

3,000 ლარი

თანხის გაცემა მოხდება სენ-ისა და ფინანსური დონორის, **ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის / Austrian Development Cooperation** წესების დაცვით, სკოლის ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე კონკრეტული სერვისების და/ან ნივთების შესყიდვით: მაგ: მწვანე ოთახის მოწყობა, სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა, ტექნიკით აღჭურვა, და. ა.შ, არაუმეტეს საპრიზო ადგილისთვის გათვალისწინებული თანხობრივი ლიმიტისა.

ორგანიზატორების რეკომენდაცია

- თავი აარიდეთ ლოზუნგებით საუბარს. იყავით კონკრეტულ გამოწვევებსა და შედეგებზე ორიენტირებული.
- არ ისაუბროთ მდგრადი განვითარების მიზნებზე ზოგადად. აუცილებელი არაა მოიცვათ ყველა მიზანი. შეარჩიეთ პრიორიტეტული მიმართულებები თქვენი გუნდის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით.
- ეცადეთ, ისაუბროთ მშვიდად, თავისუფლად და ნაკლები ემოციურობით.
- გირჩევთ, მეგობრებთან ერთად წინასწარ რამდენჯერმე გაიმეოროთ მიმართვისა თუ პრეზენტაციის ტექსტი და დარწმუნდეთ, რომ მომზადებული მიმართვის გაუღერება შესაძლებელია დადგენილ რეგლამენტში ზედმეტად ჩქარი ლაპარაკის გარეშე.
- Power point პრეზენტაციის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ სლაიდები არ უნდა იყოს გადატვირთული ტექსტებით. აჯობებს, დიდი შრიფტით გამოიტანოთ რამდენიმე ძირითადი გზავნილი.
- არ გადატვირთოთ სლაიდები ეფექტებით და ანიმაციებით.
- მრავალი ფოტო ან ფოტოკოლაჟების ერთ სლაიდზე განთავსება არ არის ალქმადი. უმჯობესია, თითოეული აქტივობის სადემონსტრაციოდ აარჩიოთ საუკეთესო ფოტო და გაშალოთ მთელ ეკრანზე.
- თავი აარიდეთ მუსიკალურ ფონს პრეზენტაციის წარდგენისას.
- შეეცადეთ იმ პოზიტიური ზეგავლენის ჩვენებას, რაც სკოლის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა მოახდინა საზოგადოებაზე, ხელისუფლებაზე, თემზე, ქალაქზე, სკოლაზე, ახალგაზრდობაზე კონკრეტულ ინდივიდებზე, ან თავისი როლი ითამაშა პრობლემების წარმოჩენაში და მათი გადაჭრის გზების ძიებაში.



With funding from

 Austrian
Development
Cooperation



ნიკო კეცხოველი
სანპოლო
პროექტი


Shaping the Future by Changing Today